

ნასყიდობის ხელშეკრულება N _____

ქ. თბილისი

2024წ.

I. მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია 2024 წლის -----
ერთის მხრივ, ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“, წარმოდგენილი
..... სახით (შემდგომში „გამყიდველი“) და
მეორეს მხრივ, – (შემდგომში „შემსყიდველი“), რომლებიც
მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შეთანხმდნენ ურთიერთშორის და
გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება შემდეგზე:

II. ხელშეკრულების საგანი

2.1. ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კაპიტალში არსებული, ან/და ბალანსზე
რიცხული ძირითადი საშუალებების დროებით სასყიდლიან სარგებლობაში გადაცემის, აგრეთვე
გაყიდვის აუქციონის შემაჯამებელი შედეგების გათვალისწინებით,
გამყიდველი იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და ვადაში
გადასცეს შემსყიდველს საკუთრების უფლება 2024 წლის ----- ჩატარებულ აუქციონზე
(პირობებით) გასაყიდად გამოტანილი ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“
ბალანსზე რიცხულ, წინამდებარე ხელშეკრულების #1 და #2 დანართებში მოცემულ
დემონტირებულ, გამოუსადეგარ ან/და უსარგებლო სასაქონლო მატერიალურ ფასეულობებსა და
ძირითად საშუალებებზე, ხოლო შემსყიდველი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს
ზემოაღნიშნული ქონების ღირებულების სრულად ანაზღაურება დადგენილი პირობებით,
ოდენობითა და ვადებში.

III. საკუთრების უფლებით გადასაცემი ქონება და მისი ადგილმდებარეობა

3.1. გამყიდველის ბალანსზე რიცხული დემონტირებული, გამოუსადეგარი ან/და უსარგებლო
სასაქონლო მატერიალური ფასეულობები და ძირითადი საშუალებების ჩამონათვალი და
ინფორმაცია ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების #1 და
#2 დანართებში.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულების #1 და #2 დანართებში მოცემული ქონება შემსყიდველს
გადაეცემა ზეთის გარეშე.

3.3. გასაყიდი ქონება სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კუთვნილ სხვადასხვა
ტერიტორიებზე (ქვესადგურები, საწყობები, ოფისები), რომელთა მისამართები მოცემულია
წინამდებარე ხელშეკრულების #3 დანართში.

3.4. დანართი #1; #2 და #3 წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.5. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდგომ, გაყიდული ქონების ამ ხელშეკრულების

3.1. პუნქტით და ხელშეკრულების #1 და #2 დანართებით დეკლარირებული, ტექნიკური
მდგომარეობის მიმართ მყიდველს არანაირი პრეტენზია არ გააჩნია და აღნიშნულთან
დაკავშირებით, მისი მხრიდან პრეტენზიები სამომავლოდაც არ მიიღება.

3.6. იმ შემთხვევაში, თუ გაყიდული, წინამდებარე ხელშეკრულების #1 და #2 დანართებში
მითითებული ქონების რომელიმეს ტექნიკური მდგომარეობა იქნება ხელშეკრულების #1 და #2
დანართებით დეკლარირებულისაგან განსხვავებული, ამ შემთხვევაში, მხარეები თანხმდებიან, რომ
არ შეიძლება აღნიშნულისათვის დადგეს გამყიდველის რაიმე ტიპის პასუხისმგებლობა, ვინაიდან
შემსყიდველს ჰქონდა საშუალება სრულად დაეთვალიერებინა და შეემოწმებინა შესასყიდი ქონების
მდგომარეობა და გამყიდველმა წინამდებარე ხელშეკრულების დადებამდე, შემსყიდველს შეუქმნა
ყველა პირობა შესასყიდი ქონების დათვალიერებისა და შემოწმებისათვის.

IV. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

4.1. ნასყიდობის ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს
(.....) ლარს, დღგ-ს ჩათვლით;

4.2. ნასყიდობის ხელშეკრულების (აუქციონზე შესყიდული ქონების) საერთო ღირებულების სრული ანაზღაურება უნდა განხორციელდეს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღისა;

4.3. შესყიდული ქონების ღირებულების ანაზღაურება ხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების ფორმით. ანგარიშსწორებასთან დაკავშირებულ საბანკო გადასახდელებს ანაზღაურებს შემსყიდველი;

4.4. შემსყიდველის მიერ, აუქციონში მონაწილეობისთვის, „ბე“-ს სახით გადახდილი თანხა, - 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი, ჩაითვლება 4.2. პუნქტის შესაბამისად, ნასყიდობის საერთო ღირებულების ანაზღაურების ანგარიშში.

4.5. გადახდის დღედ ჩაითვლება თანხის გამყიდველის ანგარიშზე ასახვის დღე.

V. ხელშეკრულების პირობების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და მისი გამოყენების პირობები

5.1. ხელშეკრულების პირობების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიას წარმოადგენს შემსყიდველის მიერ, აუქციონში მონაწილეობისთვის, „ბე“-ს სახით გადახდილი თანხა - 500 000 (ხუთასი ათასი) ლარი და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო.

5.2. „გამყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენება განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველი“ არ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდული ძირითადი საშუალებების ღირებულების სრულ ანაზღაურებას, ან/და დადგენილ ვადაში სრულად გატანას ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ან/და დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ სხვა ვალდებულებას;

VI. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. გამყიდველი ვალდებულია:

6.1.1. გადასცეს შემსყიდველს შეძენილი ქონება - (ინფორმაცია გადასაცემი ქონების ჩამონათვალის, მათი ადგილმდებარეობის, ფასებისა და ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, წარმოდგენილია წინამდებარე ხელშეკრულების #1; #2 და #3 დანართებში) ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და ვადაში;

6.1.2. გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად უნაკლო ქონება;

6.1.3. შემსყიდველს ქონება გადასცეს ელექტრონული სასაქონლო ზედნადებებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით.

6.1.4. შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, სათანადო წესის მიხედვით, გასცეს დაშვებები, გონივრული ვადის პერიოდით, შემსყიდველის წარმომადგენლებზე (მივლინებულ პირებზე), გამყიდველის კუთვნილი ტერიტორიებიდან შესყიდული ძირითადი საშუალებების გატანის მიზნით;

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. გადაუხადოს „გამყიდველს“ ნასყიდობის ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად.

6.2.2 გადაუხადოს „გამყიდველს“ აუქციონის მომსახურების საფასურის ოდენობა, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) კალენდარული დღისა, რომელიც შეადგენს საბოლოოდ დაფიქსირებული ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს - (.....) ლარს.

6.2.3. წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 210 (ორას ათი) კალენდარული დღისა, უზრუნველყოს შესყიდული ქონების (დანართ #1 და #2-ში მითითებული ქონების) სრული მოცულობით გატანა გამყიდველის კუთვნილი ტერიტორიიდან/ტერიტორიებიდან. შესყიდული ქონების გატანის პროცესი შესაძლებელია დაიწყოს მხოლოდ ნასყიდობის ღირებულების და აუქციონის მომსახურების საფასურის სრულად გადახდის შემდგომ.

6.2.4. წერილობით მიმართოს გამყიდველს თავისი წარმომადგენლების და მათი ტექნიკის გამყიდველის კუთვნილ კონკრეტულ ტერიტორიებზე დაშვებასთან დაკავშირებით, შესაბამისი ტერიტორიებიდან შესყიდული ქონების გატანის მიზნით, რაზედაც უნდა აცნობოს გამყიდველს კონკრეტულ ტერიტორიებზე (ლოკაციებზე) განთავსებული ქონების გატანის დაწყებამდე 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე. კონკრეტული ტერიტორიებიდან (ქვესადგურები, საწყობები, ოფისები და სხვ.) შესყიდული ქონების გატანა შესაძლებელია განხორციელდეს შესაბამისი დაშვების/ნებართვის მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, გამყიდველთან წინასწარ შეთანხმებული წესისა და გრაფიკის შესაბამისად. წერილობით მიმართვაში უნდა განისაზღვროს შემსყიდველის რომელ თანამშრომელს აქვს შესყიდული ქონების მდგომარეობისა და რაოდენობის შემოწმების, მათი მდგომარეობის დადასტურების და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული აქტების (მათ შორის მიღება-ჩაბარების აქტების) შემსყიდველის სახელით დადასტურების (ხელმოწერის) უფლება.

6.2.5. შემსყიდველის წარმომადგენლების გამყიდველის კუთვნილ კონკრეტულ ტერიტორიებზე დაშვების დღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, უზრუნველყოს ყოველი კონკრეტული ტერიტორიიდან მასზე განთავსებული (დასაწყობებული) ძირითადი საშუალებების მთლიანი (სრული) რაოდენობის გატანა, რაც დაფიქსირდება მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით, წინამდებარე ხელშეკრულების VII თავის (ობიექტზე დაშვების წესი და სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების პირობები) მოთხოვნათა უპირობო დაცვით;

6.2.6. უზრუნველყოს შესყიდული ქონების გატანა ამ ხელშეკრულების 3.1. და 3.3 პუნქტებში მითითებული გამყიდველის კუთვნილი ყველა ტერიტორიიდან წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუმეტეს 210 (ორას ათი) კალენდარული დღის განმავლობაში და გააფორმოს შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი/აქტები;

6.2.7. უზრუნველყოს გამყიდველის ყველა ტერიტორიიდან შემენილი ქონების გატანა იმ მდგომარეობაში, რომ არ იქნეს დარღვეული გადაცემული ნივთების მთლიანობა (მყიდველს შეუძლია მოახდინოს შესყიდული ქონების დამუშავება (დაჭრა) მხოლოდ აუქციონის პირობების მე-8 პუნქტით განსაზღვრული ტექნიკის გამოყენებით, იქვე მითითებული მეთოდებით, გამყიდველთან ჭრის პროცესის დაწყებისა და დასრულების პერიოდების, გამოსაყენებელი ტექნიკისა და მეთოდების, ასევე სამუშაოების განხორციელების ადგილ-მდებარეობის წინასწარი შეთანხმებით).

6.2.8. ისე წარმართოს გამყიდველის ტერიტორიიდან/ტერიტორიებიდან შესყიდული ქონების გატანის პროცესი, რომ არ მოხდეს ქონების გატანის პროცესის შეფერხება სამუშაო ძალის არასაკმარისობის ან სხვა რაიმე მიზეზის გამო.

6.3. გამყიდველს უფლება აქვს:

6.3.2. მყიდველის მიერ ნასყიდობის ღირებულების სრულად გადახდამდე, არ დაუშვას შემსყიდველის წარმომადგენლები თავის ობიექტზე და არ გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება;

6.3.3. მოსთხოვოს შემსყიდველს ნაკისრი ვალდებულებების დადგენილ ვადაში, ჯეროვანი და კეთილსინდისიერი შესრულება;

6.3.4. მოითხოვოს შემსყიდველის ბრალეული ქმედებით მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურება;

6.3.5. შემსყიდველის მიერ ობიექტზე დაშვების წესის (უსაფრთხოების წესების) და სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების პირობების დარღვევის შემთხვევაში, შეაჩეროს სამუშაოთა წარმოება, შემსყიდველის (მივლინებული პირების) მომუშავე ბრიგადა (პერსონალი) გამოიყვანოს სამუშაო ადგილიდან და აუკრძალოს მათ სამუშაოთა წარმოება არსებული დარღვევების დადგენილ ვადაში აღმოფხვრამდე.

6.3.6 ცალმხრივად მოშალოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ 6.2.4 პუნქტში აღნიშნული ვადის გასვლის დღიდან 30 კალენდარულ დღეში არ მოხდება შემსყიდველის მიერ ყოველ კონკრეტულ ტერიტორიაზე განთავსებული (დასაწყობებული) შესყიდული ძირითადი საშუალებების მთლიანი (სრული) რაოდენობის გატანა.

6.3.7. არ გასცეს ნებართვა ახალი ტერიტორიიდან / ტერიტორიებიდან შესყიდული ქონების გატანის პროცესის დაწყებაზე იქამდე, სანამ სრულად არ იქნება შესრულებული შემსყიდველის

ვალდებულება წინა ტერიტორიაზე / ტერიტორიებზე განთავსებული ქონების სრული მოცულობით გატანასთან დაკავშირებით.

6.4. შემსყიდველს უფლება აქვს:

6.4.1. მოითხოვოს შესყიდული ქონების გადაცემა ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და ვადაში;

6.4.2. მოითხოვოს გამყიდველს მიერ ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;

6.4.3. მოითხოვოს გამყიდველის ბრალეული ქმედებით მიყენებული ზარალის სრულად ანაზღაურება.

6.4.4. მოითხოვოს გამყიდველს შესყიდული ქონების გატანაზე ნებართვა ერთდროულად რამოდენიმე ტერიტორიიდან, თუ წარმოადგენს იმის დამადასტურებელ დოკუმენტებსა და განმარტებას, რომ მას აქვს შესაძლებლობა (გააჩნია შესაბამისი მატერიალური და ადამიანური რესურსი) ყველა მოთხოვნილი ტერიტორიიდან ერთდროულად განახორციელოს შესყიდული ქონების გატანის პროცესი.

6.5. შემსყიდველს უფლება არა აქვს:

6.5.1. შექმნილი ძირითადი საშუალებები დაჭრას, დაანაწევროს ან/და სხვაგვარად გადაამუშაოს გამყიდველის კუთვნილ ტერიტორიაზე (ძირითადი საშუალებების გაბარიტების გათვალისწინებით გამონაკლისი შემთხვევების გარდა) ამ ხელშეკრულების 6.2.7. პუნქტის დარღვევით.

VII. ობიექტზე დაშვების წესი და სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესი და პირობები:

7.1. შემსყიდველი ვალდებულია გამყიდველის ტერიტორიებზე (ქვესადგურები, საწყობები, ოფისები) შესვლისას, ყოფნისას და ნებისმიერი ტიპის სამუშაოს ან/და ქმედების განხორციელების დროს, სრულად დაიცვას ამ ხელშეკრულების დანართი #4-თ განსაზღვრული „სამუშაოთა უსაფრთხოდ წარმოების წესი და პირობები (ს.ს. „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კუთვნილი ტერიტორიიდან (ტერიტორიებიდან) გაყიდული ქონების გატანა)“.

VIII. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. შემსყიდველის ბრალით ქონების ღირებულების ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არასრულად გადახდის ან საერთოდ არ გადახდის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია გადასახდოს პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულებიდან დარჩენილი გადასახდელი თანხის 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე ქონების ღირებულების სრულად ანაზღაურების, ან ამ ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე (რომელიც უფრო ადრე დადგება), ამასთანავე, გადახდილი ბე-ს თანხა დარჩება გამყიდველს.

6.2.2 პუნქტით გათვალისწინებული აუქციონის მომსახურების საფასურის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს გადასახდელი თანხის 0.1%, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე.

8.2. თუ დადგენილ ვადაში არ მოხდება კონკრეტულ ტერიტორიაზე განთავსებული ქონების მთლიანი (სრული) რაოდენობის გატანა, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს „გამყიდველს“ ყოველი კონკრეტულ ტერიტორიიდან გაუტანელი ქონების მთლიანი ღირებულების 0.1%, ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე. მოცემული საურავი შემსყიდველს არ დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ შეფერხება გამოწვეულია „გამყიდველის“ ბრალით და ასეთ შემთხვევაში, გატანის ვადა გადაიწევეს შეფერხების ვადის შესაბამისად, თუ მხარეები სხვა რამეზე დამატებით არ შეთანხმდებიან;

8.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად ბრალეული შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება ანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება, ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას;

8.4. აუქციონის მოთხოვნების შესაბამისად გათვალისწინებულია და შესასრულებლად სავალდებულოა შემსყიდველის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული შემდეგი პირობები:

- ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულად ითვლება მათი „გამყიდველის“ უფლებამოსილი წარმომადგენლ(ებ)ის (შესაბამისი ქვესადგურის უფროსები და ფონდების ინჟინრები, ხოლო საწყობების შემთხვევაში - საწყობის უფროსები) მიერ მიღება-ჩაბარების აქტების (ხელმოწერის) დადასტურების მომენტიდან;
- ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ იღებს წერილობით გაფრთხილებას, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადისა და პირგასამტეხლოს დარიცხვის დაწყების თაობაზე;
- გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების განმეორებით (გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში) შეუსრულებლობის შემთხვევა, ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა წარმოადგენს ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველს.
- დ) „შემსყიდველისათვის“ ცნობილია ინფორმაცია ძირითადი საშუალებების, არსებული ტექნიკური მდგომარეობის შესახებ, იგი ეთანხმება მას და წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით ადასტურებს, რომ შესრულების ხარისხთან დაკავშირებით „გამყიდველის“ მიმართ რაიმე სახის პრეტენზია არ გააჩნია.

IX. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების, ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაუღალავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა ან/და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, ემბარგოს დაწესებით და სხვ. ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

X. ურთიერთობა მხარეებს შორის

10.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ.ფოსტით, ან ფაქსის გაგზავნის გზით. შეტყობინებების გაგზავნა უნდა განხორციელდეს მხარეთა მიერ სათანადოდ უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ. გამყიდველის მხრიდან შემსყიდველისათვის ელ.ფოსტით შეტყობინების გაგზავნაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ლოგისტიკის დეპარტამენტის ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ოდიშვილი giorgi.odishvili@gse.com.ge, ხოლო შემსყიდველის მხრიდან გამყიდველისთვის ელ.ფოსტით შეტყობინების გაგზავნაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს

10.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

XI. ხელშეკრულების პირობების შეცვლა

11.1. ამ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება შეიძლება შეტანილ იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ ტერიტორიაზე (ობიექტზე/ობიექტებზე) დაშვების უფლების მიღებიდან, გაყიდული ქონების გატანის, ან/და გატანის მიზნით, დამუშავების დაწყებამდე, მყიდველი აღმოაჩენს შეუსაბამობას (ნაკლებობას), ამ ხელშეკრულების დანართი N1-თ და დანართ #2 განსაზღვრულ ქონების ჩამონათვალსა და ტერიტორიაზე ფაქტიურად არსებულს შორის, წინამდებარე ხელშეკრულებაში და მის დანართ N1-ში და დანართ N2-ში უნდა განხორციელდეს სათანადო ცვლილებები, როგორც რაოდენობრივ, ასევე შესაბამის ღირებულებით ნაწილში. გამოვლენილი სხვაობები არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს გამყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობად ან რაიმე სხვა სახის ვალდებულების დარღვევად.

XII. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების შესრულების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

XIII. დავათა განხილვა

13.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზე, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხის ირგვლივ.

13.2. თუ მხარეები ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

XIV. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი და საკუთრების უფლების გადასვლა შემძენზე

14.1. ქონების ფიზიკური გადაცემა (ელექტრონული სასაქონლო ზედნადებებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა) შემსყიდველისთვის ხორციელდება შეძენილი ქონების ღირებულების (აგრეთვე ამ ხელშეკრულების საფუძველზე დარიცხული პირგასამტეხლოს ან/და ქონების შენახვის ხარჯის სახით დარიცხული თანხის - ასეთი დარიცხვების არსებობის შემთხვევაში) სრულად ანაზღაურების შემდეგ;

14.2. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი/აქტები ადასტურებს გამყიდველის მიერ ქონების ფიზიკურად (პირდაპირ მფლობელობაში) გადაცემის, ხოლო შემსყიდველის მიერ ქონების ფიზიკურად (პირდაპირ მფლობელობაში) მიღების ფაქტს;

14.3. შემსყიდველს შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება გადაეცემა შესყიდული ქონების ღირებულების (ნასყიდობის ღირებულება) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით სრულად გადახდის მომენტიდან; ამ თარიღიდანვე გადადის შემსყიდველზე ქონების შემთხვევით ან გამყიდველის ბრალის გარეშე განადგურების ან/და დაზიანების რისკი. მიღება-ჩაბარების აქტის/აქტების გაფორმებით დასტურდება შემსყიდველისათვის შესყიდული ქონების ფიზიკურად (პირდაპირ მფლობელობაში) გადაცემა, რის შემდეგაც, პასუხისმგებლობა შეძენილ ქონებაზე და ამ ქონებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებზე სრულად გადადის „შემსყიდველზე“;

XV. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

15.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამოწურულად ჩაითვლება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრულად შესრულებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ხელშეკრულების დადების დღიდან 240 კალენდარული დღის გასვლისთანავე.

15.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის ამოწურვამდე შემსყიდველი არ მოახდენს შესყიდული ქონების გამყიდველის ტერიტორიიდან სრულად გატანას, გამყიდველი უფლებამოსილია თავად უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე დარჩენილი, მყიდველის მიერ შესყიდული ქონების გატანა და მოსთხოვოს შემსყიდველს აღნიშნულისათვის გაწეული ხარჯების სრულად ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ამასთანავე, ასეთ შემთხვევაში, გამყიდველის მიერ ნივთის დაზიანებით გამოწვეულ ზარალზე პასუხისმგებლობა სრულად დაეკისრება შემსყიდველს.

ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემსყიდველი ასევე უფლებამოსილია, საკუთარი არჩევანით გამოიყენოს ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებამოსილებები.

XVI. ხელშეკრულების სხვა პირობები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად და ყოველ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

16.2. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად.

16.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლეთათვის. დაუშვებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა სხვა მხარეთათვის მეორე მხარის წინასწარ წერილობითი თანხმობის გარეშე.

XVII. მხარეთა რეკვიზიტები

„გამყიდველი“

სს „საქართველოს სახელმწიფო

ელექტროსისტემა“

ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ.#2

საიდ.კოდი: 204 995 176

ს.ს. „თიბისი ბანკი“-ს ცენტრალური ფილიალი

ბანკის კოდი: # TBCBGE22

ანგარიშის # GE02TB060000102467636

„შემსყიდველი“

საიდ.კოდი: -----

ბანკი-----

ბანკის კოდი: # -----

ანგარიშის # -----

